არქ ექსპერტიზის ცენტრი
ARCH EXPERTISE CENTER

ექსპერტიზის

ანგარიში AEC-III-IR-A41-18

ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N46 (ს/კ 01.12.07.007.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

დაწყების თარიღი: 2018 წლის 26 სექტემბერი

დასრულების თარიღი: 2018 წლის 4 ოქტომბერი

„ვამტკიცებ“
შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს
დირექტორი

ჯარჯი ჯოხაძე

4 თებერვალი 2018 წელი

ექსპერტიზის

ანგარიში № AEC-III-IR-A41-18

ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N46 (ს/კ 01.12.07.007.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული ნაწილების „ტექნიკური რეგლამენტის შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის შესახებ

შემადგენლობა:

1. ექსპერტიზის სახეობა
2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ექსპერტიზის ორგანო
3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი
4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია
5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები
6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა
7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება
8. კვლევითი ნაწილი
9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება
10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება
11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება
12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება-
13. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებამისაწვდომობის შეფასება
14. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება
15. სახურავის ანაწყობების შეფასება
16. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამოყენების შეფასება
17. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება
18. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება
19. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)
20. ექსპერტიზის დასკვნა

1. ექსპერტიზის სახეობა:

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ინსპექტირება, დოკუმენტის №AEC-IMP-II/01-17-ის შესაბამისად.

2. შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“ ინსპექტირების ორგანო

სამართლებლივად ნაკისრი ვალდებულებებით პასუხისმგებელია ინსპექტირების მიუკერძოებლობაზე, კვლევის ჯეროვან ჩატარებასა და ექსპერტიზის პროცესში მიღებული ნებისმიერი შედეგის კონფიდენციალობაზე.

საექსპერტო შეფასების შემსრულებელთა ჯგუფს ინსპექტირების ორგანოს ხელმძღვანელობისგან განემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც ასახულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე, 52-ე მუხლებში. ამასთან, გაფრთხილებულნი არიან, რომ ცრუ ჩვენების ან/და ყალბი დასკვნის მომზადების შემთხვევაში დაეკისრებათ პასუხისმგებლობა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლით.

3. ინფორმაციული ზოგადი ნაწილი

ინსპექტირების (ექსპერტიზის) სახეობა	ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.
ინსპექტირების ობიექტის იდენტიფიცირება	ქ. თბილისი, ჩარგლის ქუჩა N46 (ს/კ 01.12.07.007.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
ინსპექტირების ჩატარების თარიღი	26.09.2018 -- 04.10.2018
ანგარიშის ადრესატი	შპს „პეგასი“ (ს/კ 200020388)
ინსპექტირების ჩატარების საფუძველი	ხელშეკრულება № AEC-III-C-A41-18 (26.09.2018 წ.)
სამუშაოს სახეობა	ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N46 (ს/კ 01.12.07.007.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის ნაწილების, „ტექნიკური რეგლამენტის - შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებასთან შესაბამისობის საექსპერტო შეფასება;
მომხმარებლის იდენტიფიკაცია	1. შპს „პეგასი“ (ს/კ 200020388) 2. დირექტორი: მოჰამად ნამდარ 3. მის: ქ. თბილისი, ჩარგლის ქ. N46
ინსპექტირების ობიექტის მესაკუთრე	
ინფორმაცია ინსპექტირების ჩატარების ადგილის შესახებ	ქ. თბილისი, სპირიდონ კედიას N10ა
ექსპერტიზის შემსრულებლები	ექსპერტი არქიტექტორი: ნატალია ვასილიევა
ნაკლოვანების ან ხარვეზის შემთხვევაში, ვადა, თუ როდის არის შესაძლებელი განმეორებითი ინსპექტირება	ვადა განისაზღვროს ახალი ხელშეკრულებით, განახლებული დოკუმენტაციის მოწოდების შემთხვევაში.

4. დამკვეთის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია

დამკვეთის, შპს. „პეგასი“-ს (ს/კ 200020388) მიერ წარდგენილი პროექტის არქიტექტურული ნაწილების საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან, ტექნიკურ რეგლამენტი – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“ შესაბამისობის დადგენის მიზნით, წარმოდგენილი იქნა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილებით შეტანილი ცვლილებების მოთხოვნების შესაბამისად, ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N46 (ს/კ 01.12.07.007.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილი:

საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილის ელექტრონული ვერსია pdf ფაილის სახით ერთი ეგზემპლიარი.

5. პროექტის აღწერილობა, დაგეგმარების საფუძველი და მიზნები:

დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები

პროექტი მიზნად ისახავს მრავალფუნქციური, შენობის დაგეგმარებას, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების "ბრძანება 3251901"-შესაბამისად.

დაგეგმარების საფუძვლები და მიზნები:

პროექტი მიზნად ისახავს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაპროექტებას, შენობის დაგეგმარებას, თანამედროვე გეგმარებითი პრინციპებისა და მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების "ბრძანება 2982023"-შესაბამისად

მიწის ნაკვეთის მდებარეობა, აღწერა:

საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. N46-ში (ს/კ 01.12.07.007.014) მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1200 მ²-ს. ჩრდილო-დასავლეთით და დასავლეთით არის სამეზობლო მიჯნა, ხოლო სამხრეთით და აღმოსავლეთით საპროექტო ტერიტორია ემეზობლება საზოგადოებრივ სივრცეს, მსურს დავძინო რომ სიმაღლის განსაზღვრის სხივი დაანგარიშებული მაქვს საზოგადოებრივი სივრცესთან მიმართებაში, ხოლო სამეზობლო მიჯნებთან მიმართებაში ასევე დაცული მაქვს ყველა ქალაქგეგმარებითი პარამეტრები.

ტერიტორიას ახასიათებს რელიეფი, მისი აბსოლუტური ნიშნულები ზღვის დონიდან 482.56 დან 486.66 მ.-მდე მერყეობს, ტერიტორიაზე ხე-ნარგავები არ არის რადგან ტერიტორიაზე განთავსებული იყო ძველი ქარხანა, რომლის დემონტაჟი და ტერიტორიის გასუფთავება მოხდა დემონტაჟის ნებართვის და შრომის უსაფრთხოების წესების დაცვით, ხოლო სამეზობლო მიჯნაზე არსებული ხე ნარგავებიდან საპროექტო შენობამდე დაშორება შეადგენს მინიმუმ 3.00 - 3.50 მეტრს.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა:

საპროექტო შენობა წარმოადგენს 7 სართულიან მრავალბინიან შენობას, რომლის -1 (ნაწილობრივ) და 1 სართულებზე მოწყობილია კომერციული ფართობი ხოლო 2 დან 7-ე სართულის ჩათვლით მოწყობილია საცხოვრებელი ფართები, ერთ სართულზე 5 ბინა (ბოლო სართულზე 4 ბინა), პროპორციული თანაფარდობით საცხოვრებელი ფართობი საერთო ფართის 75% ზე მეტს შეადგენს. I სართულის ±0.00 ნიშნული მოწყობილია ჩარგლის ქუჩის უმაღლესი წერტილის 486.66 ნიშნულის დონეზე, რაც საშუალებას იძლევა შშმპ პირთა პანდუსის მოწყობის გარეშე უზრუნველყოფილი იქნას მათი შეუფერხებელი გადაადგილება ±0.00 ნიშნ. სართულის მთელს პერიმეტრზე, როგორც კომერციულ ფართებში, ასევე სადარბაზოში და შშმპ პირთა პარკინგზე. ±0.00 ნიშნულზე მოწყობილია შშმპ პირებისთვის 2 ავტოსადგომი (ნორმების შესაბამისად) და საერთო სარგებლობის სანკვანძი კომერციული ფართების მომსახურების მიზნით, კომერციული ფართებიდან და საცხოვრებელი ფართებიდან საევაკუაციო გზები მოწყობილია ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ისე, რომ არ იკვეთებიან ერთმანეთში. მიწის ქვეშა ავტოსადგომი მოწყობილია -2.80 ნიშნულზე და იქ მოხვედრა ხდება გუდამაყრის ქუჩიდან, ასევე გუდამაყრის ქუჩიდან ხდება მოხვედრა კომერციულ ფართობში -3.10 ნიშნულზე, აღნიშნულ ფართობში შშმპ პირის მისადგომობა უზრუნველყოფილია ერთ-ერთი შესასვლელის ქუჩის პირას - 3.10 ნიშნულზე მოწყობით. შენობის მოსაპირკეტებლად გამოყენებულია ღებვა თეთრ და ღია ნაცრისფერ ფერებში, შიგადაშიგ გამოყენებულია აგურის საფასადე ფილების წყობა, აივნებზე მოწყობილია 2 სახის კონსტრუქცია, ძირითადი აივნების მოაჯირები შესრულებილია შუშის ანაწყობი პანელებით და მილკვადრატის კონსტრუქციით, ხოლო აივნის მეორე ტიპის მოაჯირად გამოყენებულია მილკვადრატის ანაწყობი. აივანი შეღებილია სპილენძისფრად, შენობის გადახურვა არის ბრტყელი, შემოფარგლული პარაპეტით, გადახურვის ტექნიკური მომსახურებისთვის მოწყობილია ტექნიკური სათავსი, რომლის სიმაღლე არ არემატება 2.50 მეტრს.

პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საცხოვრებელი სახლი არის 7 სართულიანი, რომლის -3,10 ნიშნ. განთავსდება 1 სავაჭრო ფართობი, მიწისპირა სართულზე განთავსდება დანარჩენი სავაჭრო ფართობები. მეორედან მეშვიდე სართულის ჩათვლით კი განლაგდება საცხოვრებელი ერთეულები (ბინები). თითოეულ სართულზე 5 ბინა. მიწისქვეშა სართული დაეთმო საპარკინგე სივრცეს 10 ავტომობილისთვის. ეს დონე აღჭურვილია ავტოსაშხეფი სისტემით, რომლის წყლის ავზი და ტუმბო განთავსებულია ამავე დონეზე. ავტოსადგომების ნაწილი (2 ავტოსადგომი შშმპ-თვის) განთავსდება გარეთ. სახანძრო სამაშველო ავტომანქანის მისადგომის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე დაკავებული იატაკის დონე არ აღემატება 23 მეტრს, რის გამოც საპროექტო შენობას გააჩნია 1 კიბის უჯრედი. ასევე სართულის ფილა გარე კედლებისა და სავენტილაციო შახტების გამოკლებით არ აღემატება 400 მ2-ს.

საპროექტო შენობის იატაკის ნიშნული გაუსწორდება რელიეფის ნიშნულებს
და შ.შ.მ.პირები ეტლით პირდაპირ (პანდუსის გარეშე) მოახერხებენ შენობის
შიდა სივრცეში შეღწევას.

შენობის გადახურვა ბრტყელია, მიმალული პარაპეტში.

შენობის ფასადების მოსაპირკეთებელ მასალებად გამოყენებულია ქვიშა-ცემენტის ხსნარით ლესვა, შეღებილი თეთრი ფერის ფასადის საღებავით, აგრეთვე კომპოზიტური პანელები ხის ფაქტურით და ყვითელი ფერის კომპოზიტური პანელები (პარაპეტი).

შენობის ძირითადი სტრუქტურული სქემის აღწერა
საპროექტო მრავალბინიანი შენობის საძირკველი ფილაა. შენობის მზიდუნარიანი ელემენტები შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტების, კოჭების სართულშუა გადახურვის ფილისა და იატაკის ფილისაგან. კედლების შემავსებლად გათვალისწინებულია სამშენებლო ბლოკის წყობა ქვიშა-ცემენტის ხსნარზე.

საპროექტო შენობაში უნდა მოეწყოს:
1. შენობის მიწისქვეშა სართული (ავტოსადგომი) უნდა აღიჭურვოს NFPA13-ის ან საქართველოში არსებული შესაბამისი სტანდარტის მიხედვით დამონტაჟებული ავტოსაშხეფი სისტემით.

2. სახანძრო მილდგარები განთავსდება NFPA14-ის ან საქართველოში აღიარებული სხვა სტანდარტების შესაბამისად.

3. შენობა აღიჭურვება კვამლაღმომჩენი სისტემით (კომერციული ფართობი).

4. ელექტრომომარაგება და განათება, განიავებისა და ცეცხლის ავტომატური აღმომჩენი მოწყობილებები, ლიფტები და სახანძრო-სამაშველო დანაყოფისთვის მისადგომი, ლიფტები, გასასვლელი ნიშნები, გასასვლელი საშუალების განათება, ლიფტის კაბინის განათება, ცეცხლის ავტომატურად აღმომჩენი სისტემები, ავტისაშხეფი სისტემები, ელექტროენერგიაზე მომუშავე სახანძრო ტუმბოები (საქაჩები) უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი სათადარიგო ელექტრომომარაგების სისტემებით.

5. დერეფანი და კიბე განიავდება მექანიკური განიავების სისტემებით, ეს სისტემები იქნება ურთიერთ და სხვა სისტემებისგან დამოუკიდებელი.

შენობის და ძირითადი სტრუქტურული სისტემის აღწერა:

შენობის სტრუქტურა წარმოადგენს საძირკვლის გაძლიერებული ბეტონის ფილაზე დაფუძნებულ სტრუქტურულ ჩარჩოს, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან, კოჭებისაგან, სართულშუა გადახურვის ფილისაგან, კიბის სტრუქტურა შედგება გაძლიერებული მონოლითური რკინა-ბეტონისგან.

6. დაგეგმარებისათვის გამოყენებული კანონმდებლობა:

- საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ";
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები";
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

- საქართველოს მთავრობის 2017 წლის 20 ნოემბრის N498 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

7. ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტაცია, რის მიხედვითაც ჩატარდა ინსპექტირება

ინსპექტირების მეთოდები და პროცედურები - ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის ან მისი ცალკეული ნაწილის ექსპერტიზა.

ექსპერტიზის შერულების პროცესში გამოყენებული იქნა:

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“;

საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვარის №41 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტი „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესები“;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის №63 დადგენილება „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე;

საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N64 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - „შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის N41 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

ტექნოლოგიურ დანადგარებს შორისი და ტექნოლოგიურ დანადგარებსა და სხვა შენობა-ნაგებობებს შორის შეზღუდვის ზონები (მანძილები მეტრებში) მიღებულია ამერიკის შეერთებული შტატების სახანძრო უსაფრთხოების ეროვნული ასოციაციის "NFPA"-ს მიერ დამუშავებული, მრავალფუნქციური საცხოვრებელ სახლებზე მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების ნორმებისა და სტანდარტის : NFPA-52-30A-ს შესაბამისად.

8. კვლევითი ნაწილი

ექსპერტის მიერ არქიტექტურული პროექტის ნაწილების შესაბამისობა შეფასდა „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2017 წლის 6 თებერვლის N63 დადგენილებით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

9. დაკავებულობებისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება

პროექტი ითვალისწინებს საპროექტო შენობაში განსათავსებელი თითოეული ტიპის დაკავებულობისთვის შენობა-ნაგებობებისთვის უსაფრთხოების წესებით განსაზღვრულ ყველა დეტალურ მოთხოვნას, დაკავებულობები არის კლასიფიცირებული მე-3 თავის მიხედვით და შეესაბამება წესების 302-ე ქვეთავს.

პროექტში გამოყენებულია სასაწყობო (სწ-2), დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფის (დს), სავაჭრო ჯგუფის (სვ) და საცხოვრებელი ჯგუფის (სც-2) დაკავებულობები, კერძოდ:

1. **სასაწყობო ჯგუფები სწ-2 დაკავებულობა (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი -2.70 ნიშნულზე)** წესების **311.3 ქვეთავის** მიხედვით აღნიშნული დაკავებულობა მოიცავს შენობებს, სადაც არაწვადი მასალები ინახება და მიეკუთვნება მცირე საფრთხის შემცველ სასაწყობო ჯგუფს.

   სწ-2 დაკავებულობისთვის (შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი), განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - **18,6 – 1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** შესაბამისად და დაკავებულობის დატვირთვა შეადგენს 17 დამკავებელს.
   ავტოსადგომები აკმაყოფილებს **406.6.1 – 406.3 ქვეთავის** მოთხოვნებს, კერძოდ, **406.5.11 ქვეთავით** განსაზღვრულ აკრძალვებს.
   -2.80მ. ნიშნულზე მდებარე შემოზღუდული ავტოსადგომი გარაჟი ასევე აკმაყოფილებს წესების **406.9.3 ქვეთავის** მოთხოვნებს ავტოსადგომებზე ავტომობილისთვის განკუთვნილი ადგილის ზომებთან დაკავშირებით - თითოეული ავტოსადგომის ადგილის სიგანე მოთხოვნილ მინიმუმ 2,50 მეტრს, ხოლო სიგრძე აკმაყოფილებს მოთხოვნილ მინიმუმს 5,50 მ. ავტოსადგომზე საავტომობილო გზის(შესასვლელ/გასასვლელიანი) სიგანე (3.50 მ) მოწყობილია **406.9.4 ქვეთავის** შესაბამისად.
2. **დამხმარე და სხვა დანიშნულების ჯგუფი დს დაკავებულობა (მაღაზია №1-ის დამხმარე ფართობი ±0,00 მ ნიშნულზე)** წესების **312.1 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს და არა მართო მათ:

- საყრდენ კედელებს;
- ფარდულებს;
- საჯინიბოებს;
- ავზებს;
- კოშკებს.

3. **სავაჭრო ჯგუფი სვ დაკავებულობა** (კომერციული ფართები-3,10 და ±0,00 მ ნიშნულებზე) წესების **309 ქვეთავის** მიხედვით მოიცავს ისეთი შენობებისა და ნაგებობების ან მათი ნაწილების გამოყენებას, სადაც გამოფენილია და იყიდება საქონელი, ასევე, განთავსებულია ამგვარი საქონლის მარაგი, ნაკეთობები და სავაჭრო საქონელი და მისაწვდომია საზოგადოებისათვის. სავაჭრო ჯგუფი მოიცავს ქვემოთ ჩამოთვლილს, მაგრამ არა მხოლოდ მათ:

- აუქციონის დარბაზებს;
- აფთიაქებს;
- ბაზრებს/მარკეტებს;
- ბენზინ-გასამართს სადგურებს;
- საცალო და საბითუმო მაღაზიებს;
- უნივერმაღებს.

საპროექტო შენობის -3,10 (მაღაზია №1) და ±0,00 მ ნიშნულებზე მოწყობილია სავაჭრო გასაქირავებელი ფართები (მაღაზიები N2, N3, N4, N5, N6, N7), თითოეულის დაკავებულობის დატვირთვა გაანგარიშებულია **1004 ქვეთავის ცხრილი 1004.1.2** მიხედვით და გამოყენებულია: მიწის დონის ქვედა და მიწისპირა იატაკების ფართობებისთვის არსებული ფაქტორი 5,6 მთლიანი. **სვ** ჯგუფის საერთო დაკავებულობების დატვირთვა შეადგენს **30+30-ს.**

საპროექტო შენობის -3,10 ნიშნ. კომერციულ სათავსოს ემსახურება 4 გასასვლელი, ხოლო ±0,00 მ ნიშნულზე განლაგებულ სავაჭრო ფართებს - თითოეულს ემსახურება თითო გარეთ გასასვლელი გზა-კარი, რომლებიც აკმაყოფილებს **1005.3.2 ქვეთავის** მოთხოვნებს.

4. **საცხოვრებელი ჯგუფი სც-2 საცხოვრებელი ბინებით: +4,20; +7,40; +10,60; +13,80; +17,00 და +20.20 მ ნიშნულებზე.**

შეესაბამება **310.4-ე ქვეთავს,** რომელიც მოიცავს მრავაბინიან საცხოვრებელ სახლებს, საცხოვრებელი ან საბინებელი ერთეულებით, სადაც დამკავებლები მუდმივად ცხოვრობენ.

საცხოვრებელი ერთეულები დაგეგმარებულია წესების **1208 ქვეთავის** გათვალისწინებით, კერძოდ, თითოეული საცხოვრებელი ერთეული შეესაბამება **1208.1 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ოთახის მინიმალური სიგანის მოთხოვნას (პროექტის მიხედვით ოთახის მინ. სიგანე 2,85 მ). **1208 ქვეპუნქტით** განსაზღვრულ ჭერის მინიმალური სიმაღლის მოთხოვნას (პროექტის მიხ. მინ.სიმაღლე 3,05 მეტრი).

სც-2 დაკავებულობისათვის, განსაზღვრულია დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი - 18.6, **1004 ქვეთავის** და **1004.1.2 ცხრილის** მიხედვით, მეორე-მეექვსე ტიპიურ სართულებზე ს.დ.დ. შეადგენს 14-ს, ხოლო მეშვიდე სართულზე დაკავებულობის დატვირთვა ტოლია 11-ის, საცხოვრებელი დაკავებულობის ჯამური დატვირთვა შეადგენს 81 დამკავებელს.

საცხოვრებელი ერთეულები (ბინები) ერთმანეთისგან გამიჯნულია ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობით და ერთ საათიანი ცეცხლმედეგობის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება წესების **508.4 ცხრილში** და **420 ქვეთავში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

10. კონსტრუქციის ტიპების შეფასება.

შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების მიხედვით საპროექტო შენობისთვის გამოყენებული მასალების ცეცხლმედეგობის (განსაზღვრულია 721.1 ცხრილის მიხედვით), შენობაში არსებული დაკავებულობის საფუძველზე და შენობის საპროექტო სიმაღლიდან გამომდინარე შენობისთვის განსაზღვრულია I-B კონსტრუქციის ტიპი.

პროექტის კვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ საპროექტო შენობის ელემენტები (გარე და შიგა მზიდი კედლები, სართულშუა და სახურავი) აკმაყოფილებს **601 ქვეთავს და 601 ცხრილის** მოთხოვნებს და შეესაბამება I-B კონსტრუქციის ტიპისთვის მოთხოვნილ ცეცხლმედეგობის ხარისხს.

გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების **602 ცხრილში** განსაზღვრულ მინიმუმს ხანძარსაწინააღმდეგო და გარე კედლების სამშენებლო მასალიდან გამომდინარე, რაც ქვემოთ უფრო დეტალურად იქნება აღწერილი.

11. სიმაღლისა და ფართობის შეფასება.

503 ცხრილის მიხედვით, საპროექტო შენობაში არსებული დაკავებულობების და კონსტრუქციული I-B ტიპის მიხედვით დადგენილია შენობის დასაშვები სართულიანობა, სიმაღლე და ფართობი.

შენობის თითოეული სივრცე დაყოფილია დაკავებულობების მიხედვით. თითოეულ სართულზე დაკავებულობების ფართობის ჯამური მაჩვენებელი გასასვლელი საშუალებების ფართობებთან და სხვა ელემენტებთან ერთად არ ცდება **503 ცხრილში** მითითებულ სართულების ფართობთან დაკავშირებულ ზღვრებს.

შენობის სიმაღლე მიწის დონიდან შეადგენს 24.50 მეტრს, ხოლო შენობის დაკავებული იატაკი მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 22.20 მ-ზე, ანუ 23.00 მ-ზე დაბლა და შესაბამისად, *„წესების“* განმარტების მიხედვით საპროექტო შენობა არ არის მაღლივი.

საპროექტო შენობის სიმაღლე, სართულიანობა და ფართობი შესაბამისობაშია შერჩეულ კონსტრუქციულ ტიპთან და აკმაყოფილებს *„წესების“* 503 **ცხრილის** მოთხოვნებს.

12. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასება.

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი, შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე მე-10 თავის შესაბამისად.

-წესების **მე-10 თავის 1021.2 ქვეთავის,** და 1021.2(1) და 1021.2(2) **ცხრილებიდან** გამომდინარე შენობას ემსახურება ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე.

გასასვლელები განაწილებულია შემდეგნაირად:

მიწის დონის ქვემოთ, -2.80 ნიშნულზე განთავსებულ შემოზღუდულ ავტოსადგომ გარაჟს(სწ-2), დაკავებულობის დატვირთვიდან (19) და წესების 1021.2(2) ცხრილიდან გამომდინარე ემსახურება ერთი გასასვლელი გზა კარი და დამატებით შიგა გასასვლელის გზა-კიბე, რომელიც შემოზღუდულია და აქვს ჰოლი, რომელიც აღჭურვილია მექანიკური განიავების სისტემით. ეს გზა-კიბე უწყვეტია და სწ-2 დაკავებულობას აკავშირებს საცხოვრებელი ჯგუფის სც-2 დაკავებულობებთან (ბინებთან). გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი შეადგენს 26 მ-ს და შეესაბამება 1021.2(1) **ცხრილის** მოთხოვნებს.

წესების **მე-10 თავის 1004 ქვეთავის, 1004.1.2 ცხრილის** საფუძველზე განსაზღვრული დაკავებულობის დატვირთვების გამოთვლის და თითოეული სართულზე მათი დაჯამების შემდეგ დადგინდა, რომ შენობის -3,10 მ ნიშნ. კომერციულ ფართობს ემსახურება 4 გასასვლელი, ხოლო ±0.00 ნიშნულზე განლაგებულ სავაჭრო ჯგუფის სვ გასაქირავებელ ფართებს - თითოეულს ემსახურება თითო გარეთ გასასვლელი გზა-კარი, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია საზოგადოებრივ სივრცეში მოხვედრა. გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება შესაბამისად 18 და 17 მ-ს.

წესების **1021 ქვეთავის** და 1021.2(1) **ცხრილიდან** გამომდინარე, მეორე სართულიდან მეშვიდე სართულის ჩათვლით, პროექტით გათვალისწინებულია და შენობას ემსაუხურება ერთი, შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მეორე სართულიდან მექვსე სართულის ჩათვლით ბინები ტიპიურია და თითოეულ სართულზე 5-5 ბინაა, გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილი არ აღემატება 23.0 მ-ს. ბოლო სართულზე განთავსებულია 4 ბინა და მაქსიმ.სავალი მანძილი შეადგენს ასევე 23 მ.

გასასვლელთან მისადგომი მაქსიმალური სავალი მანძილის, სართულიანობის და იმის გათვალისწინებით, რომ შენობა არ არის მაღლივი, თითოეულ ბინას გააჩნია **1029 ქვეთავის** შესაბამისი საავარიო გასაქცევი და თავდასაღწევი ღიობები, რომელთანაც მიდგომა შესაძლებელია სახანძრო-სამაშველო მანქანის მეშვეობით.

შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის და გასასვლელის კომპონენტების ზომები გათვალისწინებულია **მე-10 თავის** შესაბამისად.

ბოლო სართულიდან სახურავის ზედაპირზე მოხვედრა შესაძლებელია გზა-კიბის მეშვეობით. ვინაიდან შენობა არ არის მაღლივი, გზა-კიბე არ არის აუცილებელი, რომ იყოს დაუკვამლიანებელი შემოზღუდული სივრცე, საკმარისია 1009.3.1.2 ქვთავის თანახმად, დანარჩენი სივცეებისგან შემოზრუდული იყოს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის შემომზღუდავებით და ნიავდებოდეს ბუნებრივად ან მექანიკურად, რაც პროექტით გათვალისწინებულია (განიავება ხდება მექანიკურად). გზა-კიბის შემომზღუდავებში მდებარე ღიობები დაცულია 1.5 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კარის ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.

13. გზა–კიბეებისა და სხვა გასასვლელის საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასება.

გასასვლელი და გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეები მოწყობილია 1009 ქვეთავის შესაბამისად.

გზა-კიბეების სიგანე განსაზღვრულია 1009.4 ქვეთავის და შენობის სართულზე მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კიბეების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.1. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი "7.6". პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია დასაშვები 1,20 მ სიგანის გზა-კიბე და მიღებული სიგანე შენარჩუნებულია შენობის ყველა სართულისთვის. კიბეებზე სავალი ზედაპირის ღია მხარეს მოწყობილია მოაჯირები 1013 ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს სახელურები არის 1012 ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით. სწორად არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს 1009.7.2 ქვეთავის მოთხოვნებს. გზა-კიბეების ბაქნების ზომები შეესაბამება 1009.8 ქვეთავის მოთხოვნებს.

გასასვლელების სისტემაში შემავალი დერეფნები-ჰოლები მოწყობილია 1018 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. ჰოლის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1018.2 ქვეთავის და თითოეულ სართულზე დაკავებულობის დატვირთვის ჯამური მაჩვენებლის მიხედვით. დერეფან-ჰოლის გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია მინიმუმ 3.25 მ სიგანის. ±0.00 მ ნიშნულზე მოწყობილი გასაასვლელის გზა-დერეფნის სიგანე 1.65 მ, რაც უზრუნველყოფს საცხოვრებელი და მიწისქვეშა სართულის საერთო დამკავებელთა 50%-ის გამტარიანობას.

გასასვლელი გზა-კარები მოწყობილია 1008 ქვეთავის შესაბამისად და აკამყოფილებს ყველა აუცილებელ მოთხოვნას. გზა-კარის მინიმალური სიგანე განსაზღვრულია 1008.1.1 ქვეთავის და მაქსიმალური დაკავებულობის დატვირთვის მიხედვით, გზა-კარების გამტარუნარიანობის გამოსათვლელად გამოყენებულია 1005.3.2. ქვეთავში განსაზღვრული ფაქტორი (5.1 მმ). ყველა კარი აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ მოთხოვნას, სიგანე 90 გრადუსით გაღებულ მდგომარეობაში უზრუნველყოფს 82 სმ-ზე მეტ თავისუფალ სიგანეს.

14. მისაწვდომობის შეფასება

მე-11-ე თავის მიხედვით, გეგმებზე მითითებულია მისაწვდომობის სვლაგეზი (1104 ქვეთავი), გათვალისწინებულია მისაწვდომი შესასვლელი, რომლებიც უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მისაწვდომობას -3,10 მ სვ ჯგუფის და ±0,00 მ ნიშნულზე სვ ჯგუფის დაკავებულობაში .

შენობის ყველა დაკავებული დონე არის მისაწვდომი, რომლებზეც მოხვედრა შესაძლებელია ლიფტის საშუალებით. ლიფტის კაბინა გაბარიტების მიხედვით, არის მისაწვდომი და აკმაყოფილებს 1109.7 ქვეთავის მოთხოვნებს;

±0.00 ნიშნულზე განლაგებულ სავაჭრო ფართობებში მოწყობილია მისაწვდომი ტუალეტები შშმ პირთათვის და აკმაყოფილებს 1109.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

სც-2 ჯგუფის დაკავებულობებში მისაწვდომი საცხოვრებელი ერთეული განთავსებულია 1107.6.2.1.1 ქვეთავის მიხედვით. შშმ პირებისთვის განკუთვნილი საცხოვრებელი ერთეულების რაოდენობა უნდა იყოს ბინების საერთო რაოდენობის 2%, რადგან ბინების რაოდენობა შეადგენს 29 ერთეულს. პროექტით გათვალისწინებულია მისაწვდომი ა ტიპის ერთი ბინის შესაძლებელი მოწყობა +4,20 მ ნიშნულზე.

სწორად არის განსაზღვრული მისაწვდომი სვლაგეზი და აკმაყოფილებს **1104 ქვეთავის** მოთხოვნებს;
დაცულია აგრეთვე **1106.1 ქვეთავის** და შესაბამისი ცხრილის მოთხოვნა და გათვალისწინებულია ერთი ავტოსადგომი.
ყველა კარი, რომელიც გასასვლელი საშუალების ნაწილია, არის მისაწვდომი.
შშმ პირთა გადაადგილება საზოგადოებრივი სივრციდან შენობამდე და პირიქით შესაძლებელია დაუბრკოლებლად.

15. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასება

საპროექტო შენობის გარე კედლების ყველა კომპონენტი, კერძოდ, გარე კედლის ღიობების მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი და ღიობების დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია **705 ქვეთავის** მიხედვით და შეესაბამება **705.8** ცხრილს. მოცემულ პროექტში ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის და **602 ცხრილის** მიხედვით, გათვალისწინებულია 4 – 3, 5 – 4 და 6 - 5 ღერძებში არსებული გარე კედლის ცეცხლმედეგობის ერთსაათიანი ხარისხი, ხოლო სადაც 9 მ-ზე მეტია კედლებს ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება და ღიობების ფართობიც შეუზღუდავია.
გარე კედლებში ჩასმული ღიობის ცეცხლისაგან დამცავი ანაწყობები (კარები, ფანჯრები) აკმაყოფილებს წესების **705.8 ცხრილის** მოთხოვნებს ფართობისა და ცეცხლმედეგობის ხარისხის მიხედვით, ასევე **705.8.5 ქვეთავის** მოთხოვნებს ღიობების შვეულ გამიჯვნასთან დაკავშირებით.

გარე კედლებს აქვს პარაპეტი, რომელიც აკმაყოფილებს 705.11.1 **ქვეთავის** მოთხოვნებს.

16. სახურავის ანაწყობების შეფასება

სახურავის კონსტრუქცია და არამირითადი ნაწილების ცეცხლმედეგობის ხარისხი განსაზღვრულია **601 ცხრილის** მიხედვით, კონსტრუქციის ტიპის შესაბამისად. შენობის გადახურვის ტიპი არის ბრტყელი (ქანობი მინ.2%), გადახურვის ფენილი შედგება რკინა-ბეტონის მონოლითურ გადახურვის ფილაზე მოწყობილი თბოიზოლაციისგან, ქვიშაცემენტის ხსნარით მოჭიმვის, შემდგომ ჰიდროსაიზოლაციო ფენის, ბიტუმის საიზოლაციო ფენილისაგან. სახურავის ანალიზის შემდეგ დადგინდა, რომ სახურავის მზიდი და არამზიდი ელემენტები აკმაყოფილებს კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე მოთხოვნილ 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხს. სახურავის ბურულის ხანძრის კლასიფიკაცია, კონსტრუქციული ანაწყობების მიხედვით ეკუთვნის B კლასს (**ცხრილი 1505.1ა**)

„**1505.3 B კლასის სახურავის ანაწყობები.** B კლასის სახურავის ანაწყობებად ითვლება ის ანაწყობები, რომლებიც ტესტირების დროს უძლებს ზომიერი ცეცხლის ზემოქმედებას.“

IA	IB	IIA	IIB	IIIA	IIIB	IV	VA	VB
B	B	B	C[ბ]	B	C[ბ]	B	B	C[ბ]

17. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამოჯნავების შეფასება

საპროექტო შენობის თითოეული დაკავებულობა ინდივიდუალურად არის კლასიფიცირებული წესების **508 ქვეთავის** შესაბამისად. პროექტში წარმოდგენილია შერეული დაკავებულობები **სწ-2, დს, სვ** და **სც-2** ჯგუფების სახით.

კონსტრუქციის ტიპიდან (I-B) გამომდინარე შენობის ყველა იატაკის კონსტრუქციას უნდა ჰქონდეს 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხი (601 ცხრილი) რაც პროექტით გათვალისწინებულია და დაკავებულობების შესაბამისად აუცილებელი გამოჯვნებიც **508.4 ცხრილის** მოთხოვნებს შეესაბამება.

-2.80 მ ნიშნულზე განთავსებული ტუმბოს ოთახი ყველა სხვა ფართისგან გამოჯნულია 2 საათიანი ცეცხლმედეგი ზღუდით, ხოლო კარის ცეცხლმედეგობის ხარისხი შეადგენს 30 წუთს (ავტოსაშხეფი სისტემის არსებობის დროს), რაც შეესაბამება **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს;

სვ (სავაჭრო ჯგუფი ±0,00 მ. ნიშნულზე) და **სც-2** ერთმანეთისგან გამოჯნულია მინიმუმ 2 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც შეესაბამება **508.4 ცხრილში** განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სც-2 ჯგუფის საცხოვრებელი ერთეულები (მეორე ÷ მეშვიდე სართული) ერთმანეთისგან გამოჯნულია **420.2 ქვეთავის** შესაბამისად ერთსაათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით და ორსაათიანი ცეცხლმედეგობის მქონე თარაზული ანაწყობებით, რაც აკმაყოფილებს **708.3 ქვეთავის** მოთხოვნებს;

დერეფნები საცხოვრებელი ერთეულებისგან პროექტის მიხედვით გამოჯნულია 1 საათიანი ცეცხლმედეგობის ხარისხის მქონე კედლებით, რაც შეესაბამება **1018 ქვეთავსა და 1018.1 ცხრილს**, ხოლო კარის ანაწყობების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 45 წუთი.

გასასვლელთან მისადგომი გზა-კიბეების შემომზღუდავი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი 2 საათიანია **1009.3.1.2 ქვეპუნქტის** შესაბამისად. აღნიშნულ კედლებში მოწყობილია 90 წუთიანი ცეცხლმედეგობის თვითიკეტებადი კარები, რაც აკმაყოფილებს **1009.3.1.2 ქვეთავის, 1009.3.1.4 ქვეთავის** და **716.5 ცხრილის** მოთხოვნებს.

შენობაში არსებული შახტების (საჰაერო და საკომუნიკაციო) შემომზღუდავების ცეცხლმედეგობის ხარისხი არის 2 საათიანი, რაც შეესაბამება **713.4 ქვეთავის** მოთხოვნებს.

18. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასება.

ვინაიდან საპროექტო შენობის საცხოვრებელი ჯგუფის **სც-2**-ის დაკავებული იატაკი არ მდებარეობს სახანძრო მანქანის მისადგომი ყველაზე დაბალი დონიდან 37 მ-ზე მაღლა 903.2.8 ქვეთავის მიხედვით, ავტოსაშხეფი სისტემის დაყენება მთლიან შენობაში არ მოითხოვება(არ არსებობს სხვა გარემოება, რაც მოითხოვდა „წესების“ მიხედვით, მთლიანი შენობის ავტოსაშხეფი სისტემით უზრუნველყოფას)

- ავტოსადგომ გარაჟში გათვალისწინებულია ავტისაშხეფი სისტემის მოწყობა **903.2.10** ქვეთავის შესაბამისად.

- შიგა გასასვლელი გზა-კიბის შუალედურ ბაქნებზე გათვალისწინებულია III კლასის სახანძრო მილდგარების სისტემის მოწყობა, მილდგარების სახელოს მისაერთებლები ისეა განლაგებული, რომ შენობის ყველა ნაწილი ექცევა 30 მ სიგრძის სახელოზე მიმაგრებული თავაკიდან 9.0 მ-ის საზღვრებში. რომელიც შეესაბამება წესების **905.3.1-ის ქვეთავის** მოთხოვნებს.

-კიბის უჯრედში, ჰოლ-დერეფნებში და მიწისქვეშა ავტოსადგომში გათვალისწინებულია კვამლის საკონტროლო - მექანიკური განიავების სისტემი, რომელიც უზრუნველყოფს სუფთა ჰაერის მიწოდებას აღნიშნული სივრცეებისთვის.

- შენობაში გათვალისწინებულია სახანძრო განგაშის და ცეცხლაღმომჩენი სისტემები, კერძოდ:
1) 907.2.11.2 ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის მოწყობილობები, რომლებიც განთავსებულია თითოეული საძინებელი ფართობის ჭერზე;
2) 907.2.13.1.1 ქვეთავის მიხედვით საჭირო კვამლის ავტომატური აღმომჩენები, რომლებიც განთავსებულია ლიფტის სამანქანო ოთახში, კიბის უჯრედში.

- დახურულ ავტოსადგომში -2.80 ნიშნულზე და -3,10 და ±0.00 ნიშნულებზე ღია ავტოსადგომზე და სვ დაკავებულობებში გათვალისწინებულია ხელის ცეცხლმაქრების განთავსება 906 ქვეთავის შესაბამისად.

- საპროექტო მიწის ნაკვეთის შესასვლელთან გათვალისწინებულია სახანძრო-სამაშველო სამსახურის მიერ გამოსაყენებელი ერთი მისაერთებლის მოწყობა, რაც მოთხოვნილია „*წესების*“ 912 ქვეთავის შესაბამისად.

19. წყალსადენის სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება

წყალსადენის სისტემები და ფიქსირებული მოწყობილობები დადგენილია დაკავებულობის ტიპის მიხედვით და აკმაყოფილებს მინიმალურ მოთხოვნებს წესების მე-16 თავის მიხედვით.

სვ და სც-2 ქვეჯგუფის დაკავებულობებში, წყალსადენის ფიქსირებული მოწყობილობების რაოდენობა განსაზღვრულია თითოეული დაკავებულობიდან და საცხოვრებელი ერთეულიდან (ბინიდან) გამომდინარე და აკმაყოფილებს მინიმალურ რაოდენობებს 1602.2 წვეთავის და 1602.1 ცხრილის მიხევით.

20. განსაკუთრებული პირობები (დამატებითი)

1. საექსპერტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან ტექნიკურ რეგლამენტის – "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების“ დამტკიცების თაობაზე“ და ამ დადგენილებიდან გამომდინარე რეგულაციებთან შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, საპროექტო-სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
2. საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე - არქიტექტორი მამუკა კაპანაძე.
საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება *წესებში* გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განიმარტოს აღნიშნული *წესების* მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ექსპერტიზის დასკვნა

დამკვეთის შპს „პეგასი“-ს მიერ მოწოდებული ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა N46 (ს/კ 01.12.07.007.014) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული ნაწილების, მოქმედი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესაბამისად, ექსპერტის მიერ დადგინდა - მოწოდებული სახით ობიექტის საპროექტო დოკუმენტაციის არქიტექტურული პროექტის ნაწილები შესაბამობაშია საქართველოში მოქმედ კანონმდებლობასთან და **საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

ხელმოწერები:

ექსპერტი: ნატალია ვასილიევა

ექსპერტიზის ანგარიში ტექნიკური წესით გადაამოწმა

ტექნიკურმა მენეჯერმა ნინო მენთეშაშვილმა

ინსპექტირების ანგარიში ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა

ხარისხის მენეჯერმა დავით გურგენიძემ

შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს

თანამშრომლის ნატალია ვასილიევას

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

ნატალია ვასილიევა

რ ე ზ ი უ მ ე (CV)



სახელი და გვარი:	**ნატალია ვასილიევა**
დაბადების ადგილი:	**საქართველო, თბილისი**
ოჯახური მდგომარეობა:	**დაოჯახებული**
მისამართი:	**თბილისი, შალვა ცინცაძის ქ., 41**
ტელეფონი:	**(+995-32) 2-66-33-38; მობ. 5 55 599 479**
ენები:	**ქართული სრულყოფილად, რუსული - მშობლიური, ინგლისური კარგად**

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ა:

1974–1979 წწ – საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. **არქიტექტურის მაგისტრის დიპლომი (წარჩინებით).**

1979–1981 წწ – უცხო ენების შემსწავლელი ორწლიანი კურსები (თბილისის სახელმწიფო უცხო ენათა ი.ჭავჭავაძის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტთან არსებული). **წარჩინების დიპლომი.**

1981–1985 წწ – საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისა და მშენებლობის ცენტრალური სამეცნიერო– კვლევითი ინსტიტუტი, ქ. მოსკოვი. **ასპირანტურა, მოწმობა.**

2011-2012 წ – ქ.თბილისის მერიის ინგლისური ენის კურსები - 2-ე და 3-ე დონეები. **სერტიფიკატები.**

2016 წ - ქ. თბილისის, ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროს მთავრობის 41 დადგენილების „შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების“ ტერნინგები.

მუშაობის გამოცდილება:

2017.11- შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანანმდებობა: **ტექნიკური მენეჯერი.**

2017.05-2017.10 შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“,

თანანმდებობა: **არქიტექტორი-ექსპერტი.**

2017.05- შპს „არქტრენინგ ცენტრი“,

თანანმდებობა: **ტრენერი.**

2014-2017 შპს „პროგრესი” (საპროექტო კომპანია),

თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

2011-2012 შპს ”მარჩენკო” (არქიტექტურა, ტოპოგრაფია, 3დ სკანირება)

თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

2008-2011 შპს „ტოპ დიზაინი“(საპროექტო–არქიტექტურული ფირმა),

თანანმდებობა: **მთავარი არქიტექტორი.**

1998–1999 მუნიციპალური განვითარების ფონდი (**MDF** – მსოფლიო ბანკის პროექტი). თანანმდებობა: **კონსულტანტ–არქიტექტორი.**

1987–1996 ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის დაცვის სახელმწიფო სამმართველო (თბილისის მერიასთან არსებული). თანანმდებობა: **უფროსი არქიტექტორი.**

1979–1981 „თბილზნიეპი“ (სამეცნიერო–კვლევითი და საექსპერიმენტო საპროექტო ზონალური ინსტიტუტი). თანანმდებობა: **არქიტექტორი.**

1973-1974 საკავშირო მცირე სიმძლავრის ელ.მანქნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი „ВНИИТМЭ». თანანმდებობა: **ლაბორანტი.**

1972-1973 კავშირგაბმულობის განყოფილებების საპროექტო ინსტიტუტი «Гипросвязь», თანანმდებობა: **ტექნიკოს-არქიტექტორი.**

ბოლო დროის არქიტექტურული პროექტები:

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ობიექტები:

1. ქუთაისი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2007 წ;
2. ქუთაისი, კოპიტნარი,საავიაციო ბაზა - 2007 წ;
3. ვაზიანი, სამხედრო ნაწილის ყაზარმა - 2008 წ;
4. გენერალური შტაბის შენობის რეკონსტრუქცია - 2008 წ.

ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები:

1. დაბა თაბახმელა - 2008 წ;
2. თბილისი, შ. ცინცაძის ქ., #41 – 2009 წ.

მრავალფუნქციური სასაწყობე შენობა: თბილისი, გურამიშვილის გამზ., #39ა - 2016წ.

ავარიული სახლების გამაგრება-გაძლიერების არქიტექტურული პროექტები (თბილისი):

1. ჩეხოვის ქ., #37 – 2015წ;
2. ქიქოძის ქ., #12 – 2015წ;
3. გლდანის II მკრნ, კორპ. 25 – 2015წ;
4. გლდანის VI მკრნ, კორპ.2 – 2015წ.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (2015წ):

1. საექსპერტო დასკვნა #70/1-1 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ოლომპიური მძლეოსნობის კომპლექსის“ არქიტექტურულ პროექტზე;
2. საექსპერტო დასკვნა #151/3 ქ.თბილისში, დიღმის სასწავლო-საცდელი მეურნეობის მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე „ფრენბურთის ოლომპიური დარბაზების“ არქიტექტურულ პროექტზე.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების შესაბამისობაზე (2017 წლიდან):

- მრავალბინიანი საცხვრებელი სახლები, ქ.ბათუმი
- მრავალბინიანი საცხვრებელი სახლი, ქ.თბილისი, ხერგიანის ქ. # 8
- ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, ქ.თბილისი, ბაგები, იმედაძის ქ.,#1
- ინდივიდულური საცხოვრებელი სახლები, წყნეთი
- გაზ- და ბენზინგასამართი სადგურები, ქ.თბილისი, ვარკეთილი, შეშელიძიოს ქ.
- საოფისე შენობის რეკონსტრუქცია, ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ., 61
- ლითონნაკეთობათა საწარმოოს შენობა, ქ.თბილისი, ბაღნარის ქ., 2ა
- მრავალპროფილიანი კლინიკა, ქ. თბილისი, ნოდარ ბოხუას ქ., 21
- ღვინის ქარხნები, წინანდალი, ყვარელი
- ბაზრის შენობა, რუსთავი
- სასაწყობო შენობა,

და სხვ.

უნარჩვევები:

- საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობა–ნაგებობების დაპროექტება;
- საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე (საცხოვრებელი, საზოგადოებრივი და საწარმოო შენობა-ნაგებობებზე);

- საპროექტო–სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება (ესკიზური და მუშა პროექტების სტადიები, მშენებლობის სანებართვო სტადია) საქართველოს საკანონმდებლო ბაზის შესაბამისად;
- ვმუშაობ კომპიუტერულ პროგრამებში: **ArchiCAD, AutoCAD, AutoCAD Land, MS Office: Word, Excel, Power Point, Paint;**
- ვაწარმოებ არქიტექტორულ–ტექნიკურ ზედამხედველობას; ვამოწმებ გრაფიკის მიხედვით შესრულებულ სამუშაოთა ანგარიშს;
- ვთარგმნი ტექნიკურ დოკუმენტაციას რუსული და ინგლისური ენებიდან ქართულზე და ქართულიდან რუსულზე;

პიროვნული თვისებები

- პუნქტუალობა
- ორგანიზებულობა
- ანალიტიკური აზროვნება
- მაღალი პასუხისმგებლობა
- ინდივიდუალური და გუნდური მუშაობის უნარი
- კარგი კომუნიკაციის უნარი



დიპლომი

წარჩინებით

Ч № 754004

ეს დიპლომი მიეცა ვასილევას ნატალიას

მასზე, რომ იგი 1974 წელს შევიდა

საქართველოს ვ.ი.ლენინის სახელობის

პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1980 წელს დაამთავრა

დასახელებული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით

არქიტექტურა

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1980 წ.

„10" „07" გადაწყვეტილებით

ნ.ა.ვასილევას მინიჭება

არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1980 წ. „30" 09

სარეგისტრაციო № 11024

Грузинский ин.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

Ч № 754004

Настоящий диплом выдан Васильевой

Наталье Азаревне

в том, что он а в 1974 году поступил а

в Грузинский политехнический

институт им. В.И. Ленина

и в 1980 году окончил а полный курс

названного

института

по специальности

архитектура

Решением Государственной экзаменационной

комиссии от "10" 07 1980 г.

Васильевой Н.А.

присвоена квалификация

архитектора

Председатель Государственной

экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

м. п. Город Тбилиси 30 09 1980 г.

Регистрационный № 11024

Московская типография Гознака. 1967.


საქართველოს რესპუბლიკა
მოქალაქის პირადობის მოწმობა
პირადი № 01019013928
სახელი ნატალია
გვარი ვასილიევა
დაბადების თარიღი 09.02.1955წ
დაბადების ადგილი თბილისი
ეროვნება – –
N° J 0216352
პირადი ხელმოწერა


მისამართი – –
თბილისი
მოწმობის გამცემი ორგანოს დასახელება
ნაძალადევის რაიონის შ.ს.სამმართველო
გაცემის თარიღი 20.09.1999წ
მოქმედების ვადა უვადო
ბ.ა.
თანამდებობის პირის ხელმოწერა


საქართველოს მოქალაქის
რეგისტრაციის მოწმობა ა 570006
ძალაშია პირადობის მოწმობასთან ერთად
სახელი ნატალია
გვარი ვასილიევა
პირადი № 01019013928
მისამართი თბილისი ცინცაძის 41


რეგისტრაციის ორგანოს დასახელება
თბილისის ნაძალადევის რაიონის შ.ს.ს.
თანამდებობის პირის ხელმოწერა
20 09 1999წ.
გაცემის თარიღი
24 04 1986წ.
ხელმოწერა

თბილისი ს.კედიას ქ. #10ა +995 599 58 91 59
www.aec.ge

შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს

თანამშრომლის ნინო მენთეშაშვილის

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

ნ. მენთეშაშვილი

ნინო მენთეშაშვილი

ნინო მენთეშაშვილი



მობილური: 995551302525

ელ.ფოსტა:nino.menteshashvili@yahoo.com

ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული

დაბადების თარიღი: 14 აგვისტო, 1963წ.

განათლება

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო, სექტემბერი / 1983 - ივლისი / 1988
არქიტექტორი, არქიტექტურის ფაკულტეტი
მაგისტრი
მიბმული ფაილი

სამუშაო გამოცდილება

შპს არქ ტრენინგ ცენტრი - ტრენერი

შპს არქ ექსპერტიზის ცენტრი, მაისი/ 2017-დან დღემდე

არქიტექტორი ექსპერტი

განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვოდოკუმენტაციით უზრუნველყოფის სამმართველოს უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებითგადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო,იან/2014-დან 04/ 2017-მდე,
მოვალეობები: -სამმართველოს საქმიანობის ხელმძღვანელობა, კოორდინირება, მონიტორინგი;- აზომვითი სამუშაოების ჩატარება და შესაბამისი დეფექტური აქტის საფუძველზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა; ცალკეულ ობიექტებზე მასალების მომზადება, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე კონკურსების გამოცხადება;- საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გამოცხადებულ კონკურსებზე წარმოდგენილი წინადადებების განხილვა, კომპეტენციის ფარგლებში გამარჯვებულის გამოსავლენად სატენდერო კომისიაზე წარდგენა; -წინადადებების წარდგენა სატენდერო კომისიისათვის საკვალიფიკაციო და ტექნიკური მოთხოვნების თაობაზე, სამშენებლოდასარეაბილიტაციო სამუშაოებზეტენდერისგამოცხადების უზრუნველყოფა.
მიზეზი: სხვასამსახურში გადასვლა

შტატგარეშე მოსამსახურე, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო, თებ / 2013 - იან / 2014, (11

თვე)

მოვალეობები: დევნილთა განსახლების ობიექტებში არსებული საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლა(ობიექტების მდგომარეობის შესწავლა) , ობიექტებზე მისვლა, მობინადრეებთან გასაუბრება, მათი საჭიროებებისა და პრობლემების აღწერა (კომპეტენციის ფარგლებში) , შენობის აზომვა, შენობის ტექნიკური მახასიათებლების აღწერა, სპეციალური ფორმის შევსება, ხელმძღვანელობისთვის ინფორმაციის მიწოდება. დევნილთა კომპაქტურად განსახლების ობიექტების რეაბილიტაციის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელების ორგანიზება. სარეაბილიტაციო ობიექტების საკონკურსოდ გასატანი მასალების მომზადება. (შენობის გეგმის გამოხაზვა, მოცულობების დათვლა). მიზეზი: დაწინაურება

მიზეზი: დაწინაურება

არქიტექტორი, შპს "კეიენდკეი", დეკ/2010 - თებ/2013 (26 თვე - 2 წელი და 2 თვე) მოვალეობები:
არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა
მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "Mარქიტექტურა, ოქტ/2009 - დეკ/2010 (14 თვე - 1 წელი და 2 თვე) მოვალეობები:
ინდივიდუალური საცხოვრებელი ბინების
პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, შპს "ქოხი", მაის/2004 - ოქტ/2009 (65 თვე - 5 წელი და 5 თვე) მოვალეობები:
არქიტექტურულ პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: სხვა სამსახურში გადასვლა

არქიტექტორი, საქქალაქმშენპროექტი, სექტ/1988 - მაის/2004 (188 თვე - 15 წელი და 8 თვე)
მოვალეობები: ქალაქგეგმარებით პროექტებზე მუშაობა

მიზეზი: ხელშეკრულების ვადის გასვლა

პრეპარატორი, თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ფაკულტეტზე არსებული საპროექტო ბიურო, სექტ / 1982 - სექტ / 1983 (12 თვე - 1 წელი)
მოვალეობები: პრეპარატორის ფუნქცია-მოვალეობები

მიზეზი: სწავლის გაგრძელება

ოპერატორი, გამომთვლელი ტექნიკის სარემონტო ქარხნია, სექტ/1980 - სექტ/1981 (12 თვე - 1 წელი)
მოვალეობები: საოპერატორო სამუშაოს შესრულება მიზეზი:

სწავლის გაგრძელება

სრული სტაჟი: 446 თვე (37 წელი და 2 თვე)

ენები

ქართული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება: ძალიან კარგი), რუსული (წერა: ძალიან კარგი, მეტყველება:ძალიან კარგი), ინგლისური (წერა:კარგი, მეტყველება:კარგი)

კომპიუტერული პროგრამები

Microsoft Office Word (ძალიან კარგი), Microsoft Office Excel (ძალიან კარგი), ArchiCAD (ძალიან კარგი), Microsoft Office PowerPoint (ძალიან კარგი), Microsoft Office Outlook (ძალიან კარგი)

ტრენინგები, სხვა მიღწევები

თბილისის მერიის, მაისი/2010 - დეკემბერი/2012
ინგლისური ენის კურსები

რეკომენდატორები

გიანაჭყებია, განსახლების ობიექტების ტექნიკური ზედამხედველობის დეპარტამენტის უფროსი, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო. gianatchkebia@rambler.ru, 599035437







დიპლომი

წარჩინებით

НВ № 066462

ეს დიპლომი მიეცა ნინო გაიოზის ასულ მენთეშაშვილს

მასზე, რომ იგი 1983 წელს შევიდა საქართველოს ვ.ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში

და 1988 წელს დაამთავრა აღნიშნული ინსტიტუტის

სრული კურსი სპეციალობით არქიტექტურა.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1988 წ. „25" ივნისის გადაწყვეტილებით ნ.გ. მენთეშაშვილს მიენიჭა არქიტექტორის

კვალიფიკაცია.

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

ბ. ა.

რექტორი

მდივანი

ქალაქი თბილისი 1990 წ. „12" 09

სარეგისტრაციო № 1891

Грузинский вх.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

НВ № 066462

Настоящий диплом выдан Ментешашвили Нино Гаиозовне

в том, что она в 1983 году поступила в Грузинский политехнический институт им. В.И. Ленина

и в 1988 году окончила полный курс названного института

по специальности архитектура

Решением Государственной экзаменационной комиссии от „25" июня 1988 г.

Ментешашвили Н.Г.

присвоена квалификация архитектор

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь

М. П.

Город Тбилиси „12" 09 1990 г.

Регистрационный № 1891

Московская типография Гознака. 1985.

საექსპერტო დასკვნები არქიტექტურულ პროექტებზე - შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების შესაბამისობაზე

1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ბათუმში;
2. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი გონიოში;
3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში (ლილო);
4. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში (ვარკეთილი);
5. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი თბილისში (ქავთარაძის ქუჩის მიმდებარედ);
6. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი შინდისში;
7. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი წყნეთში;
8. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი ბაკურიანში;
9. ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი გუდაურში;
10. ორი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი თბილისში (ლილო);
11. საწყობი ლილოში;
12. საწყობი - ხილის შესანახი მცხეთაში;
13. ოჯახური ტიპის სასტუმრო მუხრანში;
14. რუსთავის წყალი -რეკონსტრუქცია;
15. თბილისი, აღმაშენებლის გამზირზე საოფისე შენობის რეკონსტრუქცია;
16. თბილისი, ქვიშის საშრობი საამქრო - ლილოს დასახლება;

და სხვა.

შპს „არქ ექსპერტიზის ცენტრი“-ს

თანამშრომლის დავით გურგენიძის

დეკლარაცია

ჩემს მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საქმიანობის შესახებ არის სწორი, რასაც ვადასტურებ ხელის მოწერით.

დავით გურგენიძე

CV/რეზიუმე

დავით გურგენიძე



დაბადების თარიღი: 21.04.1963

მობილური: 599 88 82 82

ელ-ფოსტა: datogurgenidze2017@gmail.com

მისამართი: ქ. თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N43, ბინა 43

განათლება

უნივერსიტეტი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,

ფაკულტეტი - საავტომობილო გზები (1984-1990 წწ)

საერთაშორისო ინსტიტუტი „თბილისი“

ფაკულტეტი - ფინანსები და კრედიტები (1995-1999 წწ)

სამუშაო გამოცდილება

1. “Golden Bridge Financial L.T.D.” - დირექტორის მოადგილე - 09/2014 – 05/2018
2. თბილისის მერია - მთავარი სპეციალისტი - 03/2010 – 08/2014
3. შპს. „კეკე“ - ფირმის დირექტორი - 12/2004 – 02/2010
4. დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექცია - მთავარი ინსპექტორი - 04/2004 – 10/2004
5. სახელმწიფო კონცერნი „სახელმწიფო გზა“, საგზაო ფონდის სამმართველო - დიდუბე-ჩუღურეთის წამყვანი ისნპექტორი - 11/1995 – 04/2004

6. საწარმოო კომერციული ფირმა „ედემი“ - დირექტორი - 09/1991 – 07/1995
7. საგზაო-სარემონტო სამმართველო N4 - საქმეთა მწარმოებელი - 10/1988 – 09/1991
8. საქართველოს საგზაო სამინისტრო ტრესტი N1 - ნორმების ზედამხედველი - 02/1988 – 10/1988
9. სახლმშენ კომბინატი N4 - მუშა - 12/1983 – 02/1988
10. სამხედრო სამსახური - 11/1981 – 12/1983
11. მე3 სამმართველოს მე13 ტრესტი - მუშა - 09/1980 – 11/1981

ენები

ქართული - მშობლიური

რუსული - ძალიან კარგი

კომპიუტერული უნარ-ჩვევები

Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, Microsoft Office PowerPoint, Microsoft Office Outlook







დიპლომი

TB-I № 079447

ДИПЛОМ

TB-I № 079447



GEORGIA

DIPLOMA AA № 0039362 ❋

This is to certify that Mr / Ms Gurgenidze David
in 1999 completed a full academic course of the Internat-
ional Institute
of South "Tbilisi"
majoring in Finances and
Credite

By resolution of the State Examination Board, dated 22.06.
1999 Mr / Ms D.Gurgenidze is
conferred the present DIPLOMA and the qualification of
Finances and Credite

Rector
Seal of Office
Chairman of the State Examination Board
Dean

City Tbilisi 1999
Registration № 6/99 Secretary N.Otiani

საქართველო

დიპლომი AA № 0039362 ❋

მიცა დავითს გურგენიძეს
მასზედ, რომ მან 1999 წელს დაამთავრა საერთაშორისო ინსტიტუტის
"თბილისი" სრული კურსი
ფინანსებისა და კრედიტის სპეციალობით.
სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 22.06. 1999 წლის
გადაწყვეტილებით ... მიენიჭა
ფინანსებისა და კრედიტის
კვალიფიკაცია.

რექტორი
სახელმწიფო საგამოცდო
კომისიის თავმჯდომარე
დეკანი

ქალაქი თბილისი 1999 წ.
რეგისტრაციის № 6/99 მდივანი